შ.პ.ს. “დიდგორი-2011” “Didgori-2011” Ltd
საქართველო, ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ს/კ 404901111. ტელ.: 551147980
Village Dighomi, Tbilisi, Georgia, I/d: 404901111. Tel.: 551147980

ქ. თბილისი, წერეთლის ქუჩა №138 ს/კ 01.13.04.017.113 შ.პ.ს. “მედკაპიტალი”-ს
კუთვნილი სარეკონსტრუქციო შენობა

კონსტრუქციული დასკვნა

დირექტორი ნ. სილაგაძე

თბილისი 2017 წელი

ქ. თბილისი, წერეთლის ქუჩა №138 ს/კ 01.13.04.017.113 შ.პ.ს. "მედკაპიტალი"-ს კუთვნილი სარეკონსტრუქციო შენობა

კონსტრუქციული დასკვნა

სარეკონსტრუქციო შენობა ორსართულიანია ერთი მიწისქვეშა სართულით. შენობის ზომებია გეგმაში 45X19 (მ).

სართულის სიმაღლეებია I სართული 4.4 მ; II სართული 3.5 მ; სარდაფის სართული 3 მ; ქანობიანი სახურავის სიმაღლე 3 მ.

შენობა აგებულია XX საუკუნის 60-იან წლებში.

რადგან გათვალისწინებულია შენობის რეკონსტრუქცია შემდეგი სამი სრული სართულის დამატებით სიმაღლით 3.3 მ და ნაწილობრივ მეოთხე სართული 3/4 და 5/6 ღერძებს შორის სიმაღლით 4.3 მ და პლიუს სამანქანე განყოფილება სიმაღლით 2.4 მ, საბოლოოდ, რეკონსტრუქციის შემდეგ შენობის მაქსიმალური სიმაღლე მიწის ზედაპირიდან შეადგენს 24.49 მ.

გამოკვლევა მოხდა შემდეგი გეგმით:

1. ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა;
2. არსებული საძირკვლების გამოკვლევა;
3. არსებული მზიდი კედლების შესწავლა;
4. სართულშორისი გადახურვების შესწავლა;
5. არსებული შენობის საერთო მდგრადობის შეფასება.

კვლევის მიზანს წარმოადგენს:

1. არსებული საძირკვლების შენარჩუნება შემდგომში მისი გაძლიერების მიზნით;
2. პერიმეტრის კედლების შენარჩუნება და მათი დაკავშირება ახლადჩაშენებულ კარკასთან;
3. სართულშორისი გადახურვების, შიდა კედლებისა და ტიხრების დემონტაჟი.

ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევისათვის სარდაფში გაიხსნა 5 შურფი. დადგინდა შემდეგი: შენობა დაფუძნებულია კენჭნარებზე ლენტური საძირკვლებით, რომლის სიმაღლე შეადგენს 80 სმ, სიგანე კი 150 სმ. დაფუძნებულია არაკუმშვად კენჭნარებზე, რომლის საანგარიშო წინაღობა R_0=50 ტ/მ^2.

არსებული საძირკვლების გამოკვლევა

საძირკვლის გამოკვლევა მოხდა ვიზუალური დათვალიერებით რამოდენიმე გაშიშვლებულ ადგილზე და "შმიდტი"-ს ჩაქუჩით მოხდა ბეტონის სიმტკიცის განსაზღვრა. საშუალო სიმტკიცე M300-ის ფარგლებშია.

არსებული მზიდი კედლების შესწავლა

მზიდი კედლების შესწავლა მოხდა მხოლოდ პერიმეტრზე, რომელიც უნდა დარჩეს რეკონსტრუქციის შემდეგ. განხორციელებულია კერამიკული აგურის წყობით სისქით 40 სმ ქვიშა-ცემენტ-კირის დულაბზე. ფანჯრების თავზე მოწყობილი აქვს რკინაბეტონის ზღუდარები. ბზარები და დეფორმაციები არ შეინიშნება.

სართულშორისი გადახურვების შესწავლა

სართულშორისი გადახურვები და სახურავი განხორციელებულია ხის კოჭებზე და უნდა მოხდეს დემონტაჟი.

წარმოდგენილი სქემით შენობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში პერიმეტრის მზიდი აგურის კედლები გახდება კარკასის შემავსებელი თვითმზიდი კედლები. ლენტური საძირკვლის გაზრდის საჭიროება დაზუსტდება ანგარიშით.

არსებული შენობის საერთო მდგრადობა

ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების შესწავლის საფუძველზე (საინჟინრო გეოლოგია, არსებული საძირკვლები, არსებული მზიდი კედლები, სართულშორისი გადახურვები) შენობაზე რაიმე დეფორმაციები არ შეინიშნება. შენობა მდგრადია და პასუხობს ყველა მოქმედი სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება უნდა მოხდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. **სადემონტაჟო სამუშაოები**

- სახურავის დემონტაჟი;
- შიგა კედლებისა და ტიხრების დემონტაჟი;
- სართულშორისი გადახურვების დემონტაჟი;
- საძირკვლის კონსტრუქციის გაშიშვლება არსებული შენობის შიგა კონტურზე;
- საძირკვლების გაძლიერება პროექტის მიხედვით.

დასკვნა

წარმოდგენილი სქემით და ანალიზის საფუძველზე, არსებული შენობის რეკონსტრუქცია სამი სრული სართულის და ნაწილობრივ მეოთხე სართულის დაშენების განხორციელება სრულ შესაბამისობაშია სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან.

კონსტრუქტორი ზ. სილაგაძე

გამოყენებული ლიტერატურა

1. პნ 01.01-09 სეისმომედეგი მშენებლობა;
2. პნ 02.01-08 შენობებისა და ნაგებობების ფუძეები;
3. პნ 03.01-09 ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები.

ზაურ სილაბაძე

(საპროექტო სამუშაოების გამოცდილება)

ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, სოფ. დიდგორი: (995 51)-14 79 80

დაბადების თარიღი: 2 იანვარი, 1951
ოჯახური მდგომარეობა: დაქორწინებული

განათლება:

1971 – 1976 *საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.*
სამშენებლო ფაკულტეტი
ინჟინერ-მშენებლის სპეციალობა

სამუშაო გამოცდილება:

2/08/1976 – 15/02/1992 *თბილისის ზონალური სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი "თბილზნიეპი"*
ინჟინერ კონსტრუქტორი
უფროსი ინჟინერი
ჯგუფის ხელმძღვანელი
პროექტის მთავარი ინჟინერი
პროექტის მთავარი კონსტრუქტორი

15/09/1989 – 15/01/1990 *მივლინება კამბოჯის სახალხო რესპუბლიკაში, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები*

10/11/1999 – 24/03/2004 *შპს "არქგეიზი"-ს მთავარი ინჟინერი*

- კოსტავას ქ. 47-ში აშენებული 16 სართულიანი საცხოვრებელი სახლისა და სასტუმრო ვარაზის მთავარი კონსტრუქტორი და მშენებელი.
- ხორავას ქ. 4-ში 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მთავარი კონსტრუქტორი და მშენებელი.

07/06/2005 – 12/05/2006 *შპს "გიკსი"-ს მთავარი ინჟინერი*

- სააქციო საზოგადოება "ცოდნის" შენობაზე 1 სართულის დაშენების მთავარი კონსტრუქტორი და მშენებელი.

10/07/2007 – 01/06/2010 *შპს "გასნიკომპანი"-ს მთავარი ინჟინერი*

- საცხოვრებელი სახლი დოლიძის ქუჩა №46-ში და ბალანჩივაძის ქუჩა №41-ში მთავარი კონსტრუქტორი და მშენებელი.

02/01/2007 – 16/07/2010 *შპს "პროექტი 21"*

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაკვეთით რუსთავის №6, გეგუთის №8 და ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულების პროექტების მთავარი კონსტრუქტორი.

1/06/2009 – 2011 წ. *შპს "გონი 2009"*
მთავარი ინჟინერი
შ.პ.ს. „გუნსან ტრაფიქ ელექტრიკ ვე ინშაათ მუჰენდისლიკ სანაი თიჯარეთ ლიმიტედ შირქეთი"-ს ქვეკონტრაქტორი

- იმერეთის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასახლებული პუნქტების გადასახვევებთან ინდივიდუალური პროექტირების საინფორმაციო-საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები (დასრულებული).

- კახეთის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასახლებული პუნქტების გადასახვევებთან ინდივიდუალური პროექტირების საინფორმაციო-საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები (მიმდინარე).

2011 წლიდან დღემდე *შპს "დიდგორი-2011"*
მთავარი ინჟინერი
9 სართულიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაცია (კონსტრუქციული ნაწილი)

2010-2013 წლები *შპს "ერდო"*
მიწვეული სპეციალისტი კონტრაქტით,
ლაითურის სასჯელაღსრულების პროექტების მთავარი კონსტრუქტორი (მიმდინარეობს მშენებლობა)
დოკუმენტაცია გრიფით საიდუმლო.

ამჟამად: მძლეოსნობის ოლიმპიური კომპლექსის კონსტრუქციული ნაწილის მთავარი კონსტრუქტორი (მიმდინარეობს პროექტის ექსპერტიზა)

<u>კომპიუტერი და ენები:</u>

- კომპიუტერული უნარ-ჩვევები: MONOMAKH 4.2, LIRA 9.2 (მომხმარებლის დონეზე)
- ენები: ქართული, რუსული (სრულყოფილად), თურქული (საშუალოდ).

საქართველო

მოქალაძის პირადობის მოწმობა



პირადი № 01003008527

სახელი ზაური

გვარი სილაგაძე

დაბადების თარიღი 20.01.1951

დაბადების ადგილი ყყალტუბო

N° ბ 1414903

პირადი ხელმოწერა

მისამართი თბილისი ს. დიღომი

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახური

გაცემის თარიღი 25.03.2011

მოქმედების ვადა 25.03.2021

რეგისტრაციის თარიღი 25.03.2011

ბ.ა.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

დამკვეთი: სსიპ სარეაბილიტაციო მომსახურებების სააგენტო; შპს „კაბადონი +“; სფს რეგისტრაციის № 05-1621

დიპლომი

Г-I № 182323

ეს დიპლომი მიეცა სილაგაძე
ზაური აპოლონის ძეს
მასზე, რომ იგი 1971 წელს შევიდა
ვ.ი. ლენინის სახ. საქართველოს
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1976წელს დაამთავრა
ალნიშნული ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
სამრეწველო და სამოქალაქო
მშენებლობა
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1976 წ.
„22“ ივნისის გადაწყვეტილებით
ზ.ა. სილაგაძეს მიენიჭა
ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი

ქალაქი თბილისი 1980წ. „17“ IV

სარეგისტრაციო № 4993-Сгр

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Г-I № 182323

Настоящий диплом выдан Силагадзе
Заури Аполлоновичу
в том, что он в 1971 году поступил
в Грузинский политехнический
ин-т им. В.И. Ленина
и в 1976 году окончил полный курс
названного института
по специальности
Промышленное и гражданское
строительство

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „22“ июня 1976 г.
Силагадзе З.А.
присвоена квалификация
инженера-строителя

Председатель Государственной
экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь

м. п.

Город Тбилиси „17“ IV 1980 г.

Регистрационный № 4993-Сгр.

Московская типография Гознака. 1976.